

# ნეშადური




№ 8.

ეოველკვირეული ჟურნალი

1907 წ.

ჭკუა მოკლე — გრძელ თმიანები.



გრძელ თმიანებმა თვით შლიაპებიც  
გრძელის ვუღლით შორთეს, მოკაზმეს,  
მაგრამ მოკლე ჭკვას სიკვებე — სიკვანვე  
ამით მაინცა ვერ მიუმატეს!


...ა. უთხრა  
...სართ და ერთს  
...ვერ გაგსტებთ,  
...ისარი ვერ გასტებეთო,  
...თითო-თითოდ დაგლეწსთ

## ილიას ხსოვნას.

ერის ღიდება, რისხვა ხმიანი,  
ზენარის ნიჭის ის მაღლიანი,  
ენა მარგალიტ საუბრიანი...  
მოგვიკლეს კაცი-აღამიანი!  
იგი საუნჯე წერის მზიანი,  
მოჭირნახულე ერის სვიანი...

დაიცვეს მეფის შვილებმა მამის  
...არნენ და ერთს პირზედ დადგენ.  
ქვეყანის ერთობით ვით წარიმატნენ: რა  
რო ღაიმკვიდრეს და რამოდენი ოქრო მიიბა-  
...ისის ბანკსა... მაგრამ ვაი იმ ყმების ბრა-  
...ეს ოცდაათი შეერთებული ბატონი შე-  
...აუხდათ.

მელა ერთობა მარგებელი როდია.  
რიშ ბაბა.



\*  
\*\*

ვინ იყო იგი უგვან-უმგავსო,  
ძვირფასს მკერდს შენსას შეახო ხელი?  
ვინ იყო იგი ქვეყნის ორგული,  
ვინ იყო იგი ჯოჯო და გველი?!

მოგკლეს, მაგრამა არა ხარ მკვდარი,  
მრავალ ტანჯულო ქვეყნის მგოსანო,  
ქართველთ ბელადო, მოჭირნახულევ,  
ზღვავ გონებისა, შუბლ სხივისანო!

თავს შემოვევლე შენს განგმირულს მკერდს,  
ვეამბორები შენს წმინდა საფლავს;  
ვერ ვღირსებივარ ცხადლივ შენს ნახვას,  
ვერც მკვდარი განახე—ეს მწვავს, ესა მკლავს!..

**მოვაჭრე მ. მეწულოვი.**

\*  
\*\*

მუხლს ვიყრი შენს წინ, მამულიშვილო,  
ცამდინ ვადიდებ შენსა გაჩენას;  
ის მადლი, რაიც შენს ერს მოჰფინე,  
ვერ აღუნუსხავს ჩვენს უძლოურს ენას!..

მიტომ რომ ენას აღარ აქვს ძალა  
მღელვარე გულთან დაკავშირებულს,  
მეტადრე მაშინ, როცა იგონებ  
დაკარგულ განძსა, ძვირად ღირებულს!..

როდესაც საქმე ყოველ ნაბიჯზე  
აწეწილი და არეულია,  
როს შენი მოძმეც ხელთ გეჭიდება,  
ვით ბილწი მტერი!.. გარეულია!..

როდესაც საქმე გადაჭრითა გვთხოვს  
მუშა ხელისა გაორკეცებას,—  
როცა ადგილი მიეცა შენებრ  
მწერალ-პოეტის ხელის შეხებას!..

როს შენმა მკვლელმა კარგათ იცოდა,  
რომ შენის მოკვლით ჰკლავდა ჩვენ ძალებს,  
და ცხელი ტყვია შენზე ნაკრავი,  
რომ ერის გულშიც დაიტრიალებს!

ამ სიფრთხილევ!.. რომ აღვლევებამ  
უსხვერპლი არ მოიტანოს,  
თიდმა მტარვალმა  
არ დაიბანოს!..  
ვინ ამ საქმეში  
მალაჩიის  
ოვის

**ვთხოვთ  
მყიდველთ მოსი**

ვინც სასიკვდილოთ ბასრი მახვილით  
თვის ღვიძლ მშობელსაც კი შეაბებს ხელს!

მაშასადამე გემართებს გავიგო  
ეს ველურები ვინ მოგვისია;  
და ჩვენ მას უნდა გავუმასპინძლოდეთ,  
როგორც ის თვითონ ამის ღირსია!..

შენ კი უგნურთა, უბრალო მსხვერპლო,  
გთხოვ,—თუ რომ შენს მკვლელს ქართველი  
| ჰქვია,

ქართველი დედის რძით გამოზრდილა  
და მან მოგარტყა შენ შუბლში ტყვია,  
ის ნაძირალათ ჩასთვალე მარად!  
წარმოადგენენ ქვეყნად ცოცხლად-მკვდრებს!  
და მაგ სიმხეცეს ქართველთ სახელით  
იქ ნუ გადასცემ ჩვენს დიდს წინაპრებს!..

**ნოზრევან მერკვილაძე.**

\*  
\*\*

ჯერ აწამებენ, ჰსპობენ  
და მერე ძებლებს უღვამენ.

**პისარევი.**

დადუმდა ენა, დაუჭრა,  
დღეს დიდებულის მგონისა,  
წავგართვეს, მოკლეს ურცხვებმა  
დიდება ქართველ ერისა!

გაყინდა გული მსცოვანის,—  
რა მძიმედ დატანჯულია!—  
სამოცდაათ წლის მუშაკი  
ქვემძრომთვან განგმირულია.

შეწყდა გულთ ძგერა პოეტის,  
ენა მედგარი, წყლიანი  
და აღარ ისმის მისი ხმა,—  
სიტყვა უებრო,—ფხიანი.


თვლებიც ველარ შეხედვენ  
სამშობლოს ქირს და ღხენასა  
და ქირნახულსა დათესილს  
მომკას და მოხმარებასა.

ველარ მოესწრო ილია,  
„ნეტარ ხმის“ გაგონებასა  
და „საყვარელსა მამულში“  
„მონობის ბორკილთ მსხვერვესა“.

და მისი სიტყვა, კალამი—  
ისარი მოძმეთ მტერისა—  
დღეიდან დადუმებული,  
გლოვობს პატრონს და სტირისა.

პოეტი,—მოჭირნახულევ,  
აღმზრდელი ქართველ ერისა,  
დღეს აღარა გვყავს... შეიქმნა  
მსხვერპლი უგვანო მტერისა.

მოკლეს ილია... მერე სად?  
თავის სამშობლოს კერასა!..  
ამაგი გადაუხადეს  
თავდადებულსა მწერალსა...



პოეტის შრომა და დეაწლი  
დღეს სამის ტყვიით დაფასდა!..  
მამულო! შენი შვილები  
ნუ თუ სრულიად დახავსდა?!.

დაობლდა ერი... იტირეთ  
ნიჭი მალალი—ზეცისა!..  
შეინდე, დილა მგოსანო,  
კოდეა მშობელი ქვეყნისა!..

იოს. შალიბაშვილი.

**უთავბოლოება.**

ცხოვრების მოვლენანი, ფაქტები და მაგალითები მუდამ წარუშლელი რჩება ისტორიის ფურცლებზე; შეუძლებელია მათი დავიწყება და გაქარწყლება. პისარევისა არ იყოს—*слова иллюзии пропадают, но факты остаются!*

ამ მხრივ ყოვლად უნაყოფოა და სრულიად ამაო „სხვა და სხვა ზომები და საშუალებანი“ ფაქტების გასაქარწყლებლად და გასაბათილებლად.

ღიახაც დაწვრილმანდა და დაქუცმაცდა ცხოველ-მყოფელი ძლიერება ერთობისა, რომელიც ცის გრგვინვასავით მოველინა მთელს ჩვენს ქვეყანას და ძირიან-ფესვიანად შეარყია მოძველებული და მობეზრებული წეს-წყობილება ძალ-მომრეობით გამეფებული ჩვენს ცხოვრებაში.

ყველას ასე ეგონა, ეს არის დიდი ხნის საწადელს მივალწით—გავგეხსნა სანატრელი გზა თვით გამორკვევისა და თავისუფლებისაო და ასტყდა პარტიული განგაში და ორომტრიალი, მაგრამ მაგალითებმა მალე დაგვანახვეს, რომ მოქარბებული სიხარული მეტად ნადრევი ყოფილიყო.

მომქმედ პარტიებმა იმის მაგიერ, რომ საერთოდ დაწყებული საქმე საერთოდვე დამთავრებინათ,—რადგან, ვინც რა უნდა სთქვას, ქვეყნის ამოძრავებაში ცოტად თუ ბევრად ყველანი ღებულობდნენ მონაწილეობას,—ერთმანერთში დავა, ქიშპობა და უპირატესობისა და უფლების დაჩემება დაიწყეს...

მტერსაც ეგ უნდოდა. რაც ამ ორის წლის განმავლობაში ზიანი იწვნია ქართველმა ერმა საერთო ძალების დაკნინებისა და დაქუცმაცების წყალობით, რაც ქალი და კაცი გამოესალმა წუთისოფელს, ციხესა და ცივ ქვეყნებშია გარიყული, საექვოა, რომ ხოლერას და შავ ჭირს მოეტანოს ეგოდენი მსხვერპლი და ვნება.

რასაკვირველია, რომ ყოველივე ამის მნახველი, მასსა სულით და ხორციით დაეცა. უმრავლესობა პირად უზრუნველობის ნაქუქში ჩაიქლამა და დღეს დღეობით არავითარ ნიშანს არ იძლევა არა თუ ბრძოლისას, არამედ სიცოცხლისასაც კი.

ეს შიშით და ელდით მიმკედარუნება, სხვათა შორის, ყველაზე უფრო ნათლად ჩვენს ხალხს დეტყო მეტადრე სოფლად.

მთელი ერი რაღაც ცომას დაემსგავსა, რომელსაც ვისაც როგორც ჰსურს ისე ზეღოვნელოვნად ამ უბადრუკობას ზედ დაერთო. ერთმანეთი ფი მოქალაქობრივის სილაჩრისა—ზნეობრივი სიღუხჭირე და გონებრივი გათახსირება. ეს სენი და მანკი ყველა წრესა და წოდებაში საკმაოდ არის მოდებული.

არა გვგონია სადმე იყოს იმდენი მაგალითები არარაობისა, უბადრუკობისა, გათახსირებისა და არამზადობისა პირადსა თუ საზოგადო ურთერთობაში, როგორც ამ ჟამად ჩვენშია.

უკანასკნელი მონა, საზიზლარი მაწანწალა და ნაძირალიც კი იმას ვერ აიტანს, რასაც ჩვენ ვიტანთ და ვეწვევით კიდევ.

და სწორედ მაშინ, როცა თვით-მომქმედ ძალებს ჩვენს ქვეყნის არ მესვეურობა და წინამძღოლობა უნდა გაეწიათ საერთო საქმისათვის საერთო ბედნიერებისავე მისაღწევად, ჩვენში სრული დეზორგანიზაცია და უთავბოლოობა დაჰყიალობს. ზოგი ალთას, ზოგი ბალთას.ს აზოგადობრივი ინსტიტუტის კი, ეს ერთად ერთი დამახასიათებელი ყოველის ცხოველისა საერთო გასაქირში, მიჩლუნგებული და დამძრალია.

ყველა თავისთვის იგლიჯება და საერთო საქმისათვის კი არავინ იტკიებს თავს!..

აგრე თუ გაგრძელოდა, ბოლოს ისეთი უთავბოლოობა გამეფდება, რომ სრული ხაოსი დადგება, და ვაი ჩვენი ბრალი.

განა უკვე არ გვეტყობა ამის ნიშნები?  
ჰაი, ჰაი, რომ გვეტყობა!

**მ რ თ მ ბ ა .**

(არაკი)

მეფე ვინმე იყო ღიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვანდა. რა მოაწია დრომ მისის სიკვდილისა, იხმო თვისი შვილები, ოცდაათი ისარი მოატანინა, შეკრა მაგრად და მისცა გასატეხად, ეცადნენ შვილები, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გატეხა.

მერე დაშალა მეფემ ისრის კონა, თითო ისარი თითო შვილს მისცა და დააღეწინა. უთხრა მეფემ თავის შვილებს: „თუ ერთად ხართ და ერთს პირზედ სდგებართ, მტერი ისე ვერ გაგსტეხთ, როგორც წელან შეკრული ისარი ვერ გასტეხეთო, თუ გაიყარენით, ესრე თითო-თითოდ დაგლეწთ მტერიო“.

მტკიცედ დაიცვეს მეფის შვილებმა მამის მცნება: არ გაიყარნენ და ერთს პირზედ დადგნენ. და ნახეთ მათის ერთობით ვით წარმეტანენ: რა მამულები დაიმკვიდრეს და რამოდენი ოქრო მიიბარეს ინგლისის ბანკსა... მაგრამ ვაი იმ ყმების ბრალი. ვისაც ეს ოცდაათი შეერთებული ბატონი შესანახი გაუხდათ.

ყველა ერთობა მარგებელი როდია.

რიშ ბაბა.

მესამე „ლუმის“ აზიენი.



**ილიოდორე.** მამაო, ანტონ, მსევალე ესე რამ გუეს მივიკტა, ხომ შეიძლება?  
**ბიუროკრატია.** კო, შეილაო, მავტამ ასე აშკანათ, ანონ შეგვიტეოს... შე შეფიქრება!....

მე მუნჯი ვიყავ...

(ზიზაძე)

მე მუნჯი ვიყავ, ქვეყანა თავს მევლებოდა... ბუნება გულში მიკრავდა, მეჩურჩულებოდა... მწვანე წალკოტი ფიანდახათ მევებოდა... ანკარა რუ წყნარ ნანას მიგალობდა... მწერებიც მას ჰბაძედნენ ჩემდა საამოთ... ყვავილებსაც უხვად გული გაეშალათ... მეც მინდოდა მათთან სიხარული, მათთან ერთად სიმღერა... გულის სიღრმის გადაშლა... მინდოდა ბუნებას გამოვმუსაიფებოდი... მაგრამ...

მე მუნჯი ვიყავ, მუნჯი!..

გული მიკვდებოდა, როდესაც მე—მეტყველს უენო მესაუბრებოდა და პასუხი ვერ გაქეცა.. თითოთ თუ რაქეს ვანიშნებდი... მთელი ჯოჯოხეთი ტრიალებდა ჩემს არსებაში... ყოველ წამს მზათ ვიყავ შხამი გადმომენტხია, ქვეყნისთვის ჩემი ავკარგი მეცნობებია... მაგრამ...

მე მუნჯი ვიყავ, მუნჯი!..

ერთ დღეს კი ენა ამოვიდგი... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მეორეთ დავიბადე, ქვეყანა

მაშინდა ვიცან... ჩემი გულის ნადები სულ გადმოვანთხიე... ჩემმა ნამზობმა ბევრის გული შევარყია, ჩემი გაქვივრების ამბებმა ბევრს ცრემლოვნი ალივრენინა... მიბრალებდენ და თან ბედნიერებას მილოცავდენ. ჩემს წარსულს ჩემთან ერთად წყვეა კრულვას უთვლიდენ და თან ბედნიერებას მილოცავდენ. მე ბედნიერი ვიყავ... და კიდევ ბედნიერებისკენ მივიწვედი... მაგრამ...

მე კვლავ დავმუნჯდი...

ესლაც მუნჯი ვარ... ბუნება ხარობს... ცა დედამიწას ეტრთის, დედამიწა ცას... ყოველი არსი ერთმანეთს ემუსაიფება, გულის ნადებს უზიარებს... მე კი გაზენას ვიწყველი, ცრემლებს ვღვრი, ვსტირი ცხარე ცრემლებით... მინდა ენა ამოვიდგა, მეც ვაძცნო ქვეყანას ჩემი დარდი-ვარამი... მარა...


მე კვლავ დავმუნჯდი...

იმედს ნუ დაკარგავ, ჩემო თავო!.. გრწამდეს, კვლავ ამეტყველდები... და მაშინ უფრო მკაცრად, მეტის სიმწართით აუწერ ქვეყანას შენს ჭირ-ვარამს... ჰა... იმედი, კიდევ იმედი!..

მე კი კვლავ მუნჯი ვარ, მუნჯი!..

ვ- მალაქიაშვილი.


შესანიშნავი სურათები.




ღვთის ანაბარათ ცის-ქვეშ.

ბურგერის სურათი.

შესანიშნავი ქანდაკებანი.



გლადიატორი.



პრომეთეოსი (ამირანია)

ველიონსკის ქანდაკებიდან.

დილა იცინოდა...

(გვიერიდან).

დილა იცინოდა... იცინოდა მწვანე ველი... მას დაჭკმაშკამებდა მზის ცხარე სხივები. იცინოდნენ ბავშვები, თამაშობდნენ და ცელქობდნენ. ირგვლივ სიხუჟე და სიწინარე იყო. ადამიანი ადვილად სუნთქავდა.

მხოლოდ შორს მოსჩინდა ქალაქი, ბნელი და სვე-დაიანი. ჭექა-ქუხილის მომშვლინებულ ღრუბელსავით ზევადან დაჭმვებოდა ქალაქს აუარებელ ბუხრის ბოლი და ჭვარტლი. თითქოს, სისხლი, გვნესა, წვევა და კრულვა—მწარე სიცოცხლის ნაყოფი—მთლად შეკრულიყო და მაღლიდან გადმოსცქეროდა ქალაქს.

მაგრამ აქ... აქ კი ყველა იცინოდა.

არ სჩანდა მწვანე ველი. მას მოჭევენოდა ხალხი. ბრბო ხმაურობდა, მრისხანე ზღვასავით დეღაღდა. იგი შესცქეროდა კაცების მიერ იმ დამეს ამენებულს.

ველის შუაგულს ორ ბოძზე იდგა მაღალი ხარისა გასაყარი კოჭით. ეს ხარისა, მთლად შავ-ბნელი, რა-ღაც უცნაურ საშინელბოდა მოსჩინდა მზის ოქროს ფერ

სიხეებზე. ადვილი გასაგები იყო, თუ რად დაშენეს იგი დამე.

ეტლი მსწრაფლ მოვიდა... მან მშვენიერი, მარჯვედ ავიდა ადამიანი. მან მშვენიერი, მგონებარე თვალბოა გადავლო ხაღხს, შეხედა წმინდა, ბრწინვალე ცას, მოკა-შკაშე მზეს, შორს მდებარე დაღვრემილ, ჩაბნელებულ ქალაქს.

საოცარი სიმშვიდე იყო. ონავრის ფრე-ნაც კი ისმოდა.

— ამხანაგებო! — დაიძსა უნბად ხარი-სიდან ადამიანმა, — არა არს სიცოცხლე გარეშე თავისუფლებიას, გასხრადეთ ეს!..

დაჭკრეს დოლი ვრუდ, ნაწვევტ-ნაწვევ-ტად... რაღაც მოთუტრემ გაიფლვა ჭკერში, გაიქანავა ერთხელ ორჯერ...

ხაღხში ვიდაცამ დაიფვირა. რომელიდაც შეიძურეს. შერე კი ჯვალათმა მადლა ასწია გვაში, გადასრლას შავ ყუთში... მოისმა თავის რაკუნი კუბოს ფიცარზე...

სარისა დაშადეს... ბრბოც დაიშალა... სელ-ასლა იცინოდა მწვანე ველი, იცინოდა მხიარული დილა.

შორე დეს ბავშვები უწინდებურად თამაშობდნენ და დარბოდნენ მიხდორზე.

ხელის ნაბიჯით, ბარბაცით მოუასდოვდა მათ დედაბერი. თითქო რაღაცსაც დაეებდა.

— ბავშვებო! — ჭკითხა მათ— გუშინ აქ დასაჯეს ადამიანი .. ჩემი შვილი; მითხარიოთ სად, რომელ ალაგს?

ბავშვებმა მხიარულად მიიფვანეს საწყალი დედა იქ, სადაც გუშინ ხარისა იდგა. დეს სჩანდა მხოლოდ ცოტადანად ყრილი მიწა.

დიღხანს იდგა იქ დედაბერი... დიღხანს სტიროდა იგი და ეამბორებოდა მშრალს, მტვრიან მიწას. შერე კი იქით გასწია, სიდანაც შავად მოსჩინდა მოღუ-შულ ღრუბელსავით დიდა ქალაქი.

ბავშვებმა ველარ განავრდეს თამაშობა. შეშინებულნი ისინი შესცქეროდნენ ერთმანეთს... თვალს აფლებდნენ ზურმუხტოვან მდელოს, ცეცხლ მოფრქვევ მზეს, თითქოს რაღაცსაც დაეებდნენ.

მაგრამ იქ სუფველადფერი სავსე იყო სხვა და სხვა ფერადებით და სიცოცხლით...

მხიარული დიდაც ისევ ისე იცინოდა...

ბრილილი.

მხოლოდ უან ერთო!

მულამ ულომობელ შავბელთან ბრძოლაში სასო წარმკვეთა... შენც მჯობრობ, ღმერთო! ქვეყნად არ შოვის მხსნელი შენს გარდა, მუშად პარტიავ, მხოლოდ შენ ერთო!

მიმიძღვი მედგრად „წინ“ „ლამპრით“ ხელში,  
გწაღს დამიბრუნო, რაიც წამერთო...

გეაჯ: სამოთხეს სოციალიზმის  
მეც შემეგრდომო, მხოლოდ შენ ერთო!...

მადლი შენს გამჩენს, ამ ბილწ აწმყ.ის  
იმ ტკბილ მომავალთან შემეერთო!

ტიპზე ნათელი მამა მთავარს მარქსს,  
შესხმა და ქება, მხოლოდ შენ ერთო!

აღა სისხლსა მწოგს, მმართველობა მას  
მხარს უჭერს... ჭირზე ჭირი დამერთო...

ვახ, ვილუბები! დამიცვე, მხსნელო  
პროლეტარების, მხოლოდ შენ ერთო!

სული ამომხდა მშვიერს, ერთხელაც  
მაძღრისად საქმლით ვერ გავიგვერდო?

მომეცი პური მე არსობისა,  
კუჭის მეუფევე, მხოლოდ შენ ერთო!

ჩემის მწარ ოფლით სხვა სუქს, ჩემს ტანჯვის  
კრემლის ნაკადი შავს ზღვას ჩაერთო;

ბოლო არ უჩანს ჩემსა წამებას...  
ელანზე მოსპე, მხოლოდ შენ ერთო!

მეყო მოთმენა, ტანჯვის ფილა  
აივსო, ილაჯი მთლად წამერთო;

მზად ვარ საბრძოლად! არიქა ბარი,  
ორთითი, კეტი, მხოლოდ შენ ერთო!

ერთ არს სოციალ-დემოკრატია  
მუშად პარტია, როგორც შენ ღმერთო!

აღმსარებელნიც სოციალიზმის  
შენის ვართ, ვიქნეთ, მხოლოდ შენ ერთო!

მდიდართ თუ ღარიბთ, მუშას თუ აღას,  
მთხოვარს, ბობოლეებს, ჩვილთა და ბერთო

აძლევე სამოთხეს სოციალიზმის  
მათ-მათს შესაფერს, მხოლოდ შენ ერთო!

დიდ არს ალლაპი, ერთ არს ალლაპი  
ღმერთების შორის ნამდვილი ღმერთი!

ერთ არს პარტია, „სან-დონ-კრატია“,  
მუშათა მხსნელი,—მხოლოდ შენ ერთი!

კაპიტალისტთა ბასრ ბრჭყალებიღვან  
შენ იხსნი დიდს და პატარას, ერთო,—

სამშობლო, ენა და ეროვნება  
მეტი ბარგია—ხომ, მხოლოდ ერთო?

სხვები მიჰქარვენ: ტკბილ დაპირებით  
ხალხს თვალს უბამენ. დასაჯე, ღმერთო!

შენ იყავ, შენ ხარ, მარადც იქნები  
მუშათ პარტია, მხოლოდ შენ ერთო!

წკიპარტი.



ჯეშმარტი.

მე ვიცნობდი ერთ მკერვალ ქალს, რომელ-  
საც ჰყავდა არა ნამდვილი შვილი; ესე იგი, არა  
ნამდვილი ბავშვი. ქალი ქმრიანი იყო, მიმზიდველი  
და კოპწია. ქალს გაგიჟებით უყვარდა თავისი ბავ-  
შვი. სტილიობდა, შეძლების დაგვარად, მდიდრუ-  
ლათ და გემოვნებით მოერთო ბავშვი. აქ ლენტს  
გაუკეთებდა, იქ არშის, ღღეს ჩააცმევდა სადათ,  
ხვალ ჭრელათ. ბავშვის მორთვა-გამოწყობა დედი-  
სათვის უდიდეს ნეტარებას შეადგენდა. ხშირად არ  
მოსწონდა მორთულობა და ამბობდა: „ეს ფერი  
საშინელი წითელია, ეს ერთობ ყვითელია, ეს კი  
ძალზე ფერ-მკრთალიაო,—ეს შლიაბა ერთობ დი-  
ლია, ეს წამოსასხამი ძლიერ სქელიაო.“—და ასე.

ჩვენ შეგვეძლო გაგვეკიცხა ქალის გემოვნება  
და ჭკუა, მაგრამ იმის თქმა-კი ცოდვა იქნება, ვი-  
თომც დედას ბავშვი არ ყვარებოდეს.

დედას ეძახდნენ „პარაბოლას“, მამას—„პოე-  
ზიას“ და ბავშვი იყო „ქეშმარტება“; და აი სწო-  
რედ ამ ბავშვს რთავდა ხოლმე დედა ასეთის სიხა-  
ლისით. ერთხელ დედამ აჩვენა ვილაკას თავისი  
ბავშვი და ჰკითხა:—

— მოგწონს თუ არა ჩემი ბავშვი, ჩემი საუნ-  
ჯე, ჩემი ღვთაება!?. შენ მხოლოდ შეხედე ამ  
ფერს, რა სათუთია!..

— ჰო, ეს ყვითელი ფერი არ არის ცუდიო!—  
პასუხად მიუგეს დედას.

— რაო? ყვითელიო? ეს ლოყები შენის ფიქ-  
რით ყვითელია? ეგ ხომ ვარდის ფერია და შენ კი  
ამბობ ყვითელიაო! სულელი!.. გაჯავრდა პარა-  
ბოლა.

— მე მხედველობაში მხოლოდ კაბა მაქვსო.  
თავი იმართლა გარისხულმა.

სხვასაც აჩვენა პარაბოლამ თავისი ბავშვი და  
ჰკითხა:

— მოგწონს ჩემი ბავშვი, ჩემი საუნჯე, ჩემი  
ერთად ერთი იმედი? დააკვირდი მხოლოდ ამის  
რბილსა და მრგვალად მოყვანილ აგებულებას!



— ტანი ერთობ მოკლე აქვსო!  
 — როგორ, ჩემ ბავშვს ტანი ერთობ მოკლე აქვს?  
 — მე მხოლოდ კაბაზე მოგახსენებო.

დედა ძრიელ გაჯავრდა—გული სტკივოდა, რომ ვერაფერ ამჩნევდა ბავშვის სილამაზეს—და მხოლოდ ტანისამოსს ხედავდნენ. დედას ძლიერ უყვარდა თავისი ბავშვის, თავისი საუნჯის მორთვა-მოკაზმვა, მაგრამ ისიც კი ძლიერ აჯავრებდა, რომ ყველანი ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ ტანისამოსს და ბავშვს კი სრულებით ვერ ამჩნევდნენ. მწუხარება ხშირად კაცს უსამართლოდ გარდაქმნის. პარაბოლას გაუტყდა გული და ქმარს შემოსწყრა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა.

ცოლი განშორდა ქმარს. დაირქვა გაუთხოვარი ქალის სახელი ამალია, დედამ სრულებით გახადა თვის ბავშვს ტანისამოსი, რომელიც ასე დაჟინებით იზიდავდა ყველას ყურადღებას. გაატიტვლა „ქვეშარიტება“ და ასე დაუწყო ჩვენება სხვა და სხვა ხალხს და თან ეკითხებოდა:

— მოგწონთ ჩემი ბავშვი, ჩემი საუნჯე, ჩემი ერთად ერთი?..

ერთმა კაცმა უპასუხა:

— ასე უიშველ-ტიტველი უზრდევლობა არისო.

სხვებმა არაფერიც არ უპასუხეს, იმათ არც კი გაუგიათ დედის დაკითხვა, რადგანაც არ შეუნიშნაეთ ბავშვი. ამ გარემოებამ უფრო გაამწარა და გააცხარა ამალია. დაუბრუნდა ქმარს, რომელმაც სიხარულით გამოაუწოდა შერიგების ხელი.

ქალმა ისევ პარაბოლა დაირქვა და ისევ დაუწყო თავის ბავშვს მორთვა.

— ტანისამოსი და მორთულობა დაინახონ მაინც და, უეჭველია, ბოლოს ბავშვსაც შეამჩნევენო. მაშინ ხომ დაინახავენ, რომ ჩემი ბავშვი „ქვეშარიტება“ ყველა მოკაზმვა—მორთულობაზედ უკეთესი და უმშვენიერესიაო, ფიქრობდა დედა.

თარგმანი მ. გარიყულისა.

**ბასოციხალ-დემოკრატიულ**

**გლახის აღსარება.**

ეს-დეკი ვარ... ვარ კი არა,  
 მიბრძანეს, რომ იყავიო;  
 თორემ ისევ იგი დავრჩი,  
 რაც რომ წინად ვიყავიო.  
 მემამულე და მევახშე,  
 ხუცესი და პრისტავიო  
 არაოდეს არ მიყვარდა,  
 არ მომიკვდეს წრის თავიო.

პროლეტარის პრინციპები,  
 თვალთა ხედვის ისარო

ძალიად თავზე მომხვეის  
 —„შენი რჯული ის არიო“!  
 გამწიეს და გამომწიეს  
 დამიბნინეს დავთარიო:  
 ნულარ გინდა მამულ-დედულ,  
 ყანა-ბაღჩა, სახლ-კარიო!  
 ნულარა გრწამს ხატი, ღმერთი,  
 სახარება, საყდარიო!..  
 ტირილ-ქორწილ და ნათლობა  
 არის ყველა ზღაპარიო.  
 მარქსი არის, რაც რომ არის  
 ქვეყნად მტკიცე, მაგარიო!  
 ყოველ დღეს მოდით ჩვენს კრებებზედ,  
 დარია თუ ავდარიო!  
 თან წრის ფულიც მოიტანეთ,  
 არ გაბედოთ უარიო!  
 გიქადაგებთ რატომ არის  
 თქვენი საქმე წამხდარიო.  
 წრის ფულს გარდა სხვა ბეგარა  
 დღეის იქით არ არიო;  
 და ჩვენს გარდა უფროსობაც  
 არ იწამოთ სხვა გვარიო.  
 ფრანგი, რუსი, გერმანელი,  
 ყიზილბაში, თათარიო,  
 ყველა ჩვენი მომხრე არის  
 და საომრად მზად არიო.

გავბრიყვი და მეც გავსწიე  
 ახალ კიტრის საყიდლადა  
 დღე და ღამე კრებას ვესწარ  
 ხან ვფხიზლობდი, ხან მძინავდა.  
 წრის ფულიც ხომ მახდენეს—  
 აბა ხატრს მე ვინ მიზამდა?—  
 გაიარა გაზაფხულმა,  
 შემოდგომამც... დავგიზამთრდა  
 და ეს ჩვენი საიდუმლო  
 გავგიმხილდა, გავგიმულავნდა...  
 მიმოიბნენ ქადაგები  
 აქა-იქ და სადა, სადა,  
 დავგტოვეს ჩვენ მარტოკანი  
 „პრინციპისა“ ანაბრად...

არეულად დამრჩა თავში  
 პრინციპ—შანსი—გარანტია,  
 მარქს-კაუცკი, პლენხანოვი,  
 სიმპატია, აპატია,  
 ბოიკოტი, ლოკაუტი,  
 კლასთა ბრძოლა, კლასთ პარტია...  
 სულ ყველას კი ვერ გავამხელ,  
 არ დამწამონ ღალატია.

შესანიშნავი ქანდაკებანი



„რესპუბლიკა“ ბეტერენის ქანდაკება.

ექიმი-სოციალისტი.

— არ გაგიგია, ვიღაც ექიმიან, თურმე, ქუთაისში, რომელიც საუცხოოდ აქიმიანს გათხოვილ ქალებს, მაგრამ მკვარი ის არის, რომ ნაექიმევე ქალებს ქმრებს უკან აღარ უბრუნებს! ნეტა ვიცნობ, ვინ არის?

— „სოციალისტი“ იქნება!

უზრმოკრული საუბრები.

შაბაშ სოღერას!

— ესღა კი შაბაშ სოღერას! ვერ შემიფიქრებ!

— ვითამ რაღა?

— რაღა და იმით, რომ მას წინაღუდგა თვით ანდრია ლუღბი! ჯერ როგორც ცენზორი ქანც გამოაცლას სოღერას და შერე როგორც სანიტარული კომისიის თავმჯდომარე სულ კუდიით ქვას ასროლინებს!..

— ოჰო, ეგ კი მართალია. ჩვენი ანდრია ერთადერთი კაცია, რომელსაც სოღერა ვერას დააკლებს, ვედარ გაუძლებს.

ახალი პარტია.

(ვუძღვნი კბილის ექიმებს)

— თქვენ ვინა ხართ, ავტონომისტი?

— არა.

— მონარქისტი?

— არა.

— ანარქისტი?

— არა.

— შანტაჟისტი?

— არა.

— მარქსისტი?

— არა.

— მამ ვინა ხართ?


— დანტისტი!

— ოჰო, ეს სრულებით ახალი პარტია ეთფილა, არ ვიცნობი. თქვენნი ბროკრამა?

— კბილების ძრობა.

— ?!?!

ტფილისის ტრამვაი—მცხოვრებთა ვაჭი, ვაჭი.



ჩამქრალ ელექტრის ბნელი ზეწარი კონკას შემდგარსა გადაეყარა, სდგას, არ იძვრება, ზოგი ამოქნარებს და ზოგსაც ძილა წამოეზარა!



ტფილისის ტრამვაი—მცხოვრებთა ვაპი, ვაპი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ჯერ არსადა სხანს... არც გამახნდება... მადი ხელ და ხელ წავისადილოთ,  
მერე წამოგწვეთ, თვალს მოგატყუებთ, მოგვლათ რითმე დრო და დღე დაუდიოთ!

ტფილისის ტრამვაი—მცხოვრებთა ვაპი, ვაპი.



ვინ წინ, ვინ უკან, ვინ გდის ძირსა, კანდუქტორი სცემს განჯაშს, სხევირსა,  
ზოგი ქუდს ეკებს, ზოგი ადვილსა, ზოგი ფეხს იტეხს, ზოგი თავშირსა!

**ხოლერა და პარტიზმი.**

(სიგეტა).

შევიტყუეთ ხოლერის მოახლოვება თუ არა, ყველამ შიშით წამოვიძახეთ:

— კონსტიტუციას საფრთხე მოელის!

მართლაც ეს სისხლ გამწვრალი არსება, რომლის სუსტი ორგანიზმიც ყოველგვარ ავთიმყოფობის ბუდეთ გადაიქცა, ადვილი შესაძლებელია ხოლერის პირველი მსხვერპლი გახდეს...

დაყოვნებას საფრთხე მოსდევდა, მსწრაფლ გავეშურენით ყველა პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელთან, რათა გაგვეგო მათი მოსაზრებანი, თუ რა ზომების მიღებას აპირობდნენ ისინი ამ ჩვენი აზიური სტუმრის შესახებ.

აი, ვისგან რა პასუხი მივიღეთ:

**როდიჩევი:** ხოლერა—ეს თვით ჩვენა ვართ!..

**ლენინი:** ყველაფერი დამოკიდებულია „მენშევიკებზედ“. თუ მათ ხალხის სასარგებლოდ პროპაგანდა გასწიეს, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით „ბოიკოტი“ გამოუცხადოთ მას. ან ეს მოსაზრებანი ერთი მეორეზედ შევცვალოთ.

**მარტოვი:** ყველაფერი „ბოლშევიკებზედაა“ დამოკიდებული. თუ ხალხს „ბოიკოტი“ გამოუცხადეს, მაშინ ჩვენი ვალია, მთელის ჩვენის ძალ ღონით შევებრძოლოთ ამ მოსაზრებას და წინააღმდეგი ავითაცია გავსწიოთ. ან ეს მოსაზრება ერთი მეორეზედ შევცვალოთ.

**იუ. ნ. მილიუტინი:** ჩვენ ხოლერის სასარგებლოდ ვსწყვეტთ საკითხს, რადგანაც იგი „ოქტომბრისტების“ პროგრამაშია მოქცეული.

იგი ყველა საშუალებებზედ უებარია. თვით დამსჯელ რაზმსა და სამხედრო საველე სასამართლოზედ უფრო საიმედოთ და სწრაფად სპობს აგრარულ საკითხს.

ჩვენს საერთო კრებაზედ ა. სტოლიპინმა ბრწყინვალეთ დაამტკიცა, რომ ხოლერა მცირე მესაკუთრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ერთი უებარ საშუალებათაგანია.

„ოქტომბრისტები“ ძლიერის მზრუნველობით სკდილობენ საჭირო თანხის გამოჩხრეკას, რომ შესძლონ კიტრების ყიდვა დამშუელ სოფლებში დასარეგებლად.

მათ სულითა და გულით სურთ მოსპონ როგორმე „აგრარული“ საკითხი, სანამ მესამე სათათბირო გაიხსნებოდეს...

**თავ. ტრუბეცკოი:** მე—„მშვიდობიან განახლების“ პარტიის წევრი ვარ. ჩემს რწმენას შეადგენს მშვიდობა და მყუდროება. ყველაზედ უფრო სრული სიმშვიდე და მყუდროება-კი სუფევს სასაფლაოზედ.

მაშ, განა ჩვენს პარტიას შეუძლიან ხოლერა თვის მტრად დასახოს?

სრულიადაც არა. პირიქით, მის ჩვენი პარტიის „ლიდერად“ ვთვლით...

**ეკიმი დუბროვინი:** ხოლერის მოახლოვება

გახლავთ აზიური სტუმარი და არა ევროპიული საოხუნჯო სათამაშოები, როგორც პარლამენტი და კონსტიტუცია...

აზია, მუდამ გვიგზავნიდა ხოლმე ჩვენ ძვირფას საჩუქრებს ძღვნად.

მან მოგვცა ჩვენ მათრახები და რკინის კეტები.

აზიამ, დასასრულ, მოგვცა ჩვენ თათრები, რომელთაც დაივიწყეს რა ის შეურაცხყოფა, რაიცა მათ მიაყენა ლიბერალმა და გულკეთილმა იონანე მრისხანემ ყაზანში, დღეს წმინდა წყლის რუსის ხალხად ითვლებიან.

უდიდესი და უმრავლესი ამაგი აქვს ჩვენზედ აზიას, და ამიტომაც მოვალენი ვართ ღირსეულად მივიღოთ ჩვენი საპატიო და სასურველი სტუმარი.

ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი პროგრამები ერთი-ერთმანეთს თითქმის ეთანხმებიან. განსხვავება სულ უბრალო, უმნიშვნელო წვრილმანშია:

— ჩვენ დანებითა და კეტებით, ის-კი ცელითაა.

ვგონებ რომ ჩვენი „კავშირის“ ნიშანი ღირსეული საჩუქარი იქმნება იმის დიად მოღვაწეობისათვის.

შესაძლებელია ერთი ჩვენი ბაირალიც გავუგზავნოთ...

სიკვდილის აჩრდილი ცელით, „ქეშმარიტ რუსთა“ ბაირალით და ძვლებზედ აკრული „კავშირის“ ნიშნით...

საუცხოვო საამდროვო სურათია!..

ჯაფარა.

**ღმერთმა უწყის.**

ჩვენი „ღუმა“ სუმა—ჩუმა  
მესამეთაც დსცდის ბედსა,  
გადაუშლის თავის ბჭესა  
„ქეშმარიტ“ და კადეტებსა!  
თუმც რუსეთს არ ეშინიან  
ამგვარ ამბის, ამგვარ ჭუჭყის,  
მაგრამ როდის კვლავ წიხლს ჰკრავენ?  
ეს კი... ეს კი... ღმერთმა უწყის!

მესამეთაც იმარჯვებენ  
სოციალ-დემოკრატები,  
არჩვენებში „თვისნი“ გაჰყავთ,  
ბევრიც იხმარეს კვანტები!  
„თვისიანი“ შეაგროვეს  
საქართველოს ყველა კუთხის,  
მაგრამ „თვისას“ გაგზავნიან?  
ეს კი... ეს კი... ღმერთმა უწყის!

ეროვნული  
გიგლიოთიკა

ჩვენი ქართული თეატრიც  
კვლავ გაცოცხლდა, აგვიყვავდა,  
ახალი გამგეობა ჰყავს,  
წინეთ ძლიერ ძველი ჰყავდა!  
საქმესაც ხელი მოჰკიდეს,  
დღეობაა არტისტთ კუჭის,  
სეზონს როდის დაიწყობენ...  
ეს კი... ეს კი... ღმერთმა უწყის!

ჩვენი ერი მშვენიერი,  
მთავრობისთვის უცხო, გერი,  
ამა წლისა სამს იენისში  
წიხლით გააგდეს კარებში!  
აწ კენჭები თამაშობენ  
„საღუმათ“ ჩვენი კუთხის,  
მაგრამ „ჩვენი“ წავა ვინმე?  
ეს კი მართლაც ღმერთმა უწყის.

სამაკრატლოთ, გასაკრეჭათ  
მალლა მთაა, ძირს „ბაკია“,  
თბილისში და ქუთაისში  
ჯალხისათვის ბანკებია!  
ბევრი რჩებათ მამულები  
საქართველოს ყველა კუთხის,  
მაგრამ როგორ, რას უზამენ  
ეს კი... ეს კი... ღმერთმა უწყის!

წერა-კითხვის გამგეობა  
ერთხელ ნესტმა დააობა,  
მაგრამ ეხლა გამოცოცხლდა...  
მგონი თვითონაც გაოცდა!  
ილია რა გარდიცვალა  
მის სახელზე ადგენს ფონდსა;  
კრება ჰქონდათ როგორც იყო  
ენკენისთვის ოცდა ორსა,  
დაადგინეს და დაწერეს  
განაჩენი მტკიცე ფიცის-  
ბევრი ჩაქრა ჩვენში ფონდი,  
და ეს ფონდიც ღმერთმა იცის

ქუთაისში რო გათენდა,  
ცაზე გამოჩნდა „ცისკარი“  
„ჩვენი გზა“ ამოიჩნია  
სთქვა: სათაური იქ არი!  
შურდულს ტოტები შეება,  
ორივემ გავკრათ ერთათო,  
შენ ნაგავს ჰქექდე მუღამა,  
მე ტალახს დავედამ სვეტათო!  
ორივე გემრიელია,  
მსაზრდოებელი კუჭისა.  
მოვლენ თუ არა ჰქვაზედა...  
ესეც ალახმა უწყისა!

„ნიშაღური“ იყიდება  
ეს არ მოსწონთ ზოგიერთებს,  
მისი მტერი (იქნებ მტერი)  
კორს ლანძღვასთან შეაერთებს;  
მხოლოდ ჩვენი აგენტები—  
არშიყები ხელის ჭუჭყის,  
გამოგზავნიან ფულებსა?  
ესკი მათმა ღმერთმა უწყის.

საყასბოს ვართანიანცი  
ჩამოაშორეს ტანჯვითა,  
რადგან კატასებრ თავისკენ  
მეტის-მეტს სწევდა კლანჭითა!  
მაგრამ ფარსელა არ შედრკა,  
ჩამოწმენდას ფიქრობს ჭუჭყის,  
მოახერხებს ამას თუ ვერ...  
ეს კი მისმა ვირმა უწყის!

ჩახმახი.

სომხის მწერლები და მოღვაწენი.




ავეტის აგარონიანი.

აგარონიანი ერთი საუკეთესო და ნიჭიერი მწერალთა-  
განია სომხურს ახალს მწერლობაში. დაიბადა ილდირში.  
სწავლა მიიღო ეჩმიადინის სასულიერო სემინარიაში. ერთ  
ხანად მასწავლებლათ იყო. მერე საზღვარ გარეთ წავიდა.  
ენევაში სწავლობდა ფილოსოფიას. თანამშრომლობდა  
„მშაკში“, სადაც დაიწყო პატარა მოთხრობების წერა და  
ერთბაშად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და პირველ  
ხარისხიდან მწერლების გუნდში ჩაირიცხა. აგარონიანი დი-  
დათ განვითარებული კაცია, მტკიცე ხასიათისა და შეუდა-  
რებელი ორატორი. წელს იგი არჩეულ იქნა ტფილისის

ნერსესიანის სემინარიის გამგეთ. ჯერ ახალგაზდა კაცია—40 წლის არც კი იქნება. სომხები საფუძვლიანად ამაცობენ აგარონიანის სახელით.

აბარონიანმა დრამატიულ მწერლობაშიაც შეურიო თავისი წვლილი და ამ კვირია წარმოდგენილი იყო მისი ფრიად საინტერესო პიესა „ცრემლთა ველი“, რომელსაც უკვე ქართულათ სთარბმნიან.

ფუსურვებთ აგარონიანს ხანგრძლივს და ნაცოფიერ მოღვაწეობას თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ.



### დრამატიული ხელოვნება.

## ექიმთა \*

ვოდველი ერთ მოქმედებათ.

### ივ. გომართელია.

**ექიმი.** თქვენ რა გაწუხებთ?

**ავათმყოფი.** მოიცადე, შვილო, პატარა მოვიქოქინო! (თავსაფარს შეხსნის, კაბას ცოტა მუხლებზე აიწვეს. წამოდენიშე სანს სიხუშუა) თქვენა ხართ დობტური?

**ექიმი.** აბა ვისთან შემოხვედით?

**ავათმყოფი.** მე დობტურის ხამი აღარა ვარ შვილო, მთელი ქვეყნის დობტურები მომივლია, სულ ყველა ქირმა მოლია შენს გარდა.

**ექიმი.** (იღიმება) აქედან რომ გახვალთ, მერე ჩემზედაც აგრე იტყვი! (ექიმი მაგადსთან დაჯდება).

**ავათმყოფი.** თუ მიშველი რასმე, შვილო, რაზე ვიტყვი და, თუ ისე გამაწვალე, სხვებმა რომ მე მაწვალეს, დიხაც კი ვიტყვი, აბა! კიარ გიცოცამ, რატომაც არ ვიტყვი! (ჯიბეში ხელს ჩაიფათს და ამოდებს კანა-კანათ შეკრულ რეცეპტებს) აა, შვილო, ქვეყნის წამალი ჩემმა სტომაქმა მოინელა, სიკვდილმა კი მოინელა ყველა, ვინც ეს წამლები გალესა, რომ მე არც ერთი არ წამადგა. (წამადგება, ექიმს სტოლზე დაუწვას რეცეპტებს, შემდეგ უკან გამბრუნდება და დაჯდება) ეგ რეცეპტები, შვილო, სულ სათითაოთ უნდა გადაათვალიერო სულ ყველა. თუ მაგათ გარდა არი კიდე წამალი ჩემი მისადგომი და იცი, ხო კაი; თუ არა და ტყვილა რაზე გაგასინჯვიო, შვილო, თავი? ასე კი არ ვიყავი, რომ მიყურებ. ჩემი ქმარი პირველი სოვდაგარი იყო, მარა ჩემს ავათმყოფობას გადააღია თავისი საცხოვრებელი. სულ დობტურებმა და აფთეკებმა გამცალეს, იმათი ოჯახი კი გასცალა

ავმა ქირმა. (ექიმი ჩქარა გადასინჯავს რეცეპტებს, ავათმყოფი ხელებს გასაწვალავს) აბა, პა, პა! რაღა დროს ჩემი მოტყუებაა, შვილო, სამოცი წლის ქალი ვარ. (ადგება, მაგადსთან მიიტანს სკამს, დაჯდება, აიღებს თავის რეცეპტებს, გახსნის და ცალცალკე აწვდის ექიმს) ჩემი რეცეპტები თავიდან რიგრიგათ მაქ დალაგებული. სულ პირველათ ამას ვხმარობდი. (ადგებს ექიმს ერთ რეცეპტს, ისიც ათვალავს) მერე ამას (ექიმი სინჯავს. ადგებს მეორეს, შესაშვს, შეათხვს, შესუთს და სსვ. ექიმი სულ სინჯავს და ბოლოს მთამინება ეკარება).

**ექიმი.** ამგვარ სინჯვას რეცეპტებისას არავითარი აზრი არა აქვს. გაიხსენით ტანისამოსი, გაგსინჯავთ და მაშინ გავიგებ, რა არის თქვენთვის საჭირო.

**ავათმყოფი.** არა შვილო, შენ მალე გინდა თავიდან ჩემი მოშორება და ჩემი ავათმყოფობა კი აგრე არა ჩქარობს.

**ექიმი.** ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რა საჭიროა ჩემთვის, რა წამალიც თქვენ გინხარიათ ამ ოცი წლის წინეთ?

**ავათმყოფი.** ჩემი ავათმყოფობა, შვილო, დიდი ხნის ამბავია; ორმოცი წელიწადია, რაც ავათა ვარ. მათ! ამისთანა ავათმყოფობას დიდი დაკვირვება უნდა. ჯერ ერთი დობტური იმისთანა არ შემხვედრია, რომ ჩემ ავათყოფობას დაკვირვებოდეს. შენ კი უნდა დამიკვირდე შვილო, ძალიან. დედაშვილობამა შენთვისაც კარგია: ჩემისთანა ავანტყოფს ათასში ერთს ვერა ნახამ. ერთმა დობტურმა მითხრა: შენნაირი ავანტყოფი არც მინახავს, არც გამიგონია, არც წიგნში წამიკითხავს და არც მისწავლიაო; მათ! მე ვუთხარი: აბა ფული შენ უნდა მომცე პირიქით, რომ გასწავლე მეთქი! (იღინის) აი ეს რეცეპტი ათი წლის წინეთ გამომიწერა ერთმა დობტურმა (აწვდის ერთ რეცეპტს, შემდეგ მეორეს, შესაშვს, შეათხვს...) ამან მთლათ გადარია ჩემი ავათმყოფობა, (აწვდის რეცეპტს) რომ ეს არ მომსწრებოდა (აწვდის მეორეს) სწორეთ მოგვდებოდი. ესენი ზოგი შარშანდელია, ზოგი შარშანწინდელი (აწვდის წამდენიშეს) ორი იმდენი სახლში დავტოვე კიდემ წამლობაში მოვაწიე აქდენი ხანი და ახლა შენი თავი მიქვს და თუ რასმე შემეწევი, ღმერთი შენ შეგეწევა.

**ექიმი.** (დრმათ ამთისუნთქავს და ცხვირსაწვდით ოფლს იწმენდავს შებლზე) აბა ახლა გაიხადეთ და გაგსინჯავთ.

**ავათმყოფი.** (თავის ძველ ალაგას დაჯდება) ჯერ მოსაყოლი მაქ შვილო, კარგათ უნდა დაუგდო ყური, — აბა ისე რას გავიგებ? თუ შენი გარემოება და შენი სატკივარი კარგათ არ აუხსენი დობტურს, რა ქნას დობტურმა, — მართლა და-მართლა ღმერთი კი არ არის. (კაბას მუხლებზე აიკეცავს) ყური დამიგდე შვილო!

\* იხილე „ნიშადური“ № 7.

ამ დროინდელი არშიყობა.

**ექიმი.** (წამოღებუბა და სტენისაკენ) ამას რას გა-  
დავეკიდე?

**ავათმყოფი.** თხუთმეტ წლამდინ, შვილო, როგორც კენჭი ისე ვიყავი. ფრჩხილი არ წამამ-  
ტკენია, ფრჩხილი. ახლა რომ მიყურებ, ასე კი არ ვიყავი. ოხერა ავანტყოფობა ასე ავლახავებს ადა-  
მიანს, თვარა ვარსკვლავივით გოგო ვიყავი ჩემს ტოლებში, ვარსკვლავივით. სიმღერა გინდა, დაირა, მუზიკა,—ყველაფერი ისე ვიცოდი, რომ ერთი არა მჯობდა, ერთი. ახლა ხელ-საქმეს არ იტყვი?

**ექიმი.** ყოველივე ეგ თქვენს ავათმყოფობას სრულებით არ შეეხება.

**ავათმყოფი.** მოიცა შვილო, ნუ გამაწყვეტი-  
ნებ. ჩემი ავანტყოფობა მე ისე მაქ შესწავლილი, რომ ერთ სიტყვას მეტს არ ვამბობ. (იგონებს) რაზე შევჩერდი... ჰო, თუთხმეტ წლამდინ ისე ვიყვი, კამბეჩს რომ დავტაკებოდი, იმას წავაკცევდი. ერ-  
თხელ მეზობლისას ქორწილში ვიყავი. უჩემოთ, შვილო, ლხინი არ ვარგოდა და ყველგან მე მზა-  
ტიჯობდენ. მე ძალიან მოწონება მქონდა შვილო, იმ ქორწილში მანც ორმა ყმაწვილმა ისეთ თვალზე შემხედეს, რომ აღარ მშორდებოდენ, სულ უკან დამდევდენ, საცა მე, იქ ისინი, საცა მე, იქ ისინი, საცა მე, იქ ისინი. იმისთანა გოგო კი ვიყავი შვი-  
ლო, როგო (თავის ქნევით) პირველ თავადიშვილს ვეკადრებოდი ცოლათ! მარა ახლა რო ქალიშვი-  
ლები კურტუმს უშვერენ ყველას, იმისთანა არ გახლდით: ჩემი თავის ყადრი ვიცოდი. რომ დალიეს კარგათ, ერთი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: მი-  
ყვარხარ და უნდა ცოლათ წამამყვეო. შენც ღმერ-  
თმა შეგარცხვინა და...

**ექიმი.** (გაწყვეტიანებს) ბატონო, ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა აქვს თქვენს ავათ-  
მყოფობასთან.

**ავათმყოფი.** ნუ გამაწყვეტიებ, შვილო, თო-  
რემ მოხუცი ქალი ვარ, მაგდენი გონება კი აღარა მაქ,—დამავიწყდება და თავიდან უნდა დავიწყო. კავშირი რო აქ, შენ თვითან დაინახამ, შვილო! (ექიმი მხრებს იჩენავს და მიდი-მოდის) ჰო, მოვიდა და მეუბნება: მიყვარხარ და უნდა ცოლათ წამამ-  
ყვეო. შენც ღმერთმა შეგარცხვინა და შენი სი-  
ყვარულიცა მეთქი, მივახალე პირში, გულში კი, ცოდვა არ ითქმის, მამწონდა. აჰა ის ამჯობინე ჩემ-  
საო, მეორეზე მითხრა, შვილო, იძრო ხანჯალი და გაექანა იმისაკენ. შეიქნა წივილი, კივილი და, რომ დროზე არა სცემოდენ ხელში, იქავე სულს გააცხეკინებდა იმ ჩემი ცოდვით სამსეს. მაშინ რომ დამკრა გულში სადგისივით, უკან ზურგში გაა-  
ტანა და კოჭებამდინ გაიარა. მაშინ დეიბულა ჩემს ტანში ავანტყოფობამ, მარა ახალგაზრდა ვიყავი და ვერ დამრია ხელი, არაფრათ ვაგდებდი. (ქარი



— ერთი მისძანეთ, რას უფრო სწირად იცვლით ანშიეებს თუ სელათამანებს?

— რა თქმა უნდა—ანშიეებს. სელათამანებს ყიდვა უნდა, ანშიეები კი ბუზისავით თავს დამტრიალებენ!..

გაიღებს და თავს შემოჭყოფს ჩისტანნი, გამხდარი შუა-  
ხნის ქადა).

**ჩისტანნი ქალი.** შე დალოცვილო, ერთი გა-  
მოყრუებული ბებერი რა გახდა ამისთანა, რომ ვე-  
ლარ გაათავეთ მაგის გასინჯვა? (კარი გაიხურება).

**ავათმყოფი.** (კარებისაკენ მიიხედავს) შენ კი, ვინდაცა გდინხარ, ხმა ჩაიკმინდე, თვარა არც ისე დავარდნილი ვარ, რომ შენისთანა ჩიხოტკიანები წიხლ ქვეშ ველარ ამოვიდდა! (მობრუნდება).

**ექიმი.** იცით, რას მოგახსენებთ? ამ გვარის ლაპარაკით არასფერი არ გამოვა. მე კითხვებს მოგცემთ და თქვენ მხოლოთ იმაზე მიპასუხებთ ხოლმე. მაშინ უკეთ გავიგებ თქვენს გარემოებას, თორემ თქვენ ბევრს ისეთს ლაპარაკობთ, რაც თქვენს ავათმყოფობას არ შეეხება.

**ავათმყოფი.** რა კითხვები უნდა მომცე, შვი-  
ლო, როცა ჩემი გარემოება ჯერ მესადიდც არ იცი? გაიგე, შვილო, კარგათ, ჯერ მე დამაცალე და მერე შენა მკითხე.

**ექიმი.** (ცოტა გუჯმოსუჯი) ექიმი მე ვარ და არა თქვენ. მაშასადამე მე უკეთ ვიცი, რა არის საჭირო და რა არა.

**ავათმყოფი.** ჩემი თავის ამბავი ჩემსავით ექიმმა კი არა, იესო ქრისტემაც არ იცის.

**ექიმი.** მაშინ საღამოს მობრძანდით, შეიდ სა-  
ათზე. მე სრულებით თავისუფალი ვიქნები და გულდასმით მოვისმენთ. ახლა კი ხომ ჰხედავთ, ავათმყოფები იცდიან და ამდენი დრო არა მაქვს.

# პროვინცია.

ეროვნული

ბაქოს ჭირ-გარამი

**ავათმყოფი.** რაღა ავათმყოფები? მე კი ავათ-  
მყოფი არა ვარ? ჩემისთანა ავათმყოფი ვინ არის?  
ან იმათი ფული ფულია და ჩემი კი ლაყე კვერ-  
ცხია? ერთი თვეა, შენთან ვეპირები, ახლა ძლივს  
მოვედი და საღამოს აქ რაღა მამიყვანს?

**ექიმი.** (გუფმოსუღა) მაშ უკაცრავათ,—მე  
იმდენი დრო არა მაქვს, რომ ოცდა ოთხი სა-  
ათი თქვენ გემუსაიფოთ.

**ავათმყოფი.** იმისი დრო ხომა ვაქვს, რომ  
ფულები ჯიბეში ჩაიხსრილოო ხოლომე?

**ექიმი.** (ცოტა დამშვიდებული) თუ გნებავთ,  
რასაც მე გკითხავთ, იმაზე მიზასუხეთ და გაგსინ-  
ჯავთ კიდევ; თუ არა გნებავთ, სხვა დოხტურს  
მიმართეთ.

**ავათმყოფი.** ვიცი, ვიცი, რასაც კითხულობთ  
ხოლომე დოხტურები? (წამოდგება, მაგდასთან მიდის,  
რეცეპტებს აგროფებს და ჯიბეში იღებს) თქვენ  
ოღონდ ფული აიღოთ და ავანტყოფი მალე თავი-  
დან მოიშოროთ და გინდა მორჩეს, გინდა მოკ-  
ვდეს, იმისი დარდი არა გაქეთ. ჰაი, ჩვენო უბედურო  
თავო, რაღა გვატყუებს ყველა!

**ექიმი.** გთხოვთ წაბრძანდეთ, რაკი ჩემი რჩევა  
არ მოგწონსთ. (კარებს გააღებს) იასონ! დაუძახე  
შემდეგს (გაბრუნდება. ავათმყოფი კარებისაკენ მიდის).

**ავათმყოფი.** აი სუყველა დოხტური დასწყევ-  
ლოს მამაზეციერმა და გასწყვიტოს ჭირმა. ყველა  
ჩვენ გვატყუებს (ავათმყოფი რამ კარებთან მივა, კარი  
გაიღებს, შემოდის ახადგაზრდა ქალიშვილი და უკან  
შემოყვება ჩისტიანი გამსდარი ქალი. თავს უკრავს  
ექიმს. ავათმყოფი შეახედება ჩისტიანს) შენ ეი, ჩი-  
ხოტკა, რას ლიკლიკობდი, ქალბატონო, წელან?

**ჩისტიანი ქალი.** (გაკანასებული მივარდება და  
ქედგას მოუღებებს) აი, შე წუპაკო ბებერო, შენა,  
ვინ გგონივარ მე შენა? (დაჭკრავს ქედგას, ავათ-  
მყოფი ეცემა და შეიქნება ცემა ტყემა. ახადგაზრდა  
ქალი სხეზე ხელებს იფარებს, სკამზე ჩაჯდება და  
კვივის. ექიმი მივარდება და აშეგლებს, კვივალზე ია-  
სონი შემოვა და ბებერს გარეთ გაიყვანს. ჩისტიანი  
ქალი ტანისამოსს ისწორებს და ჩისტას) ეგ უნამუსო,  
ეგ წუპაკი!

**მოხუცი ავათმყოფი.** (გარედან ჭყვირის) აი შე  
ჩიხოტკა, ჩიხოტკა, ჩიხოტკა!

(შემდეგი იქნება).

Homo homini...sus.

**ქართველი პატრიოტი.**—ხომ კარგად იყიდება  
ქართული გაზეთები?

**გაზეთის დამტარებელი.**—საუცხოვოდ. ერთი  
ილია ქავეჭავაძე კიდე რომ მოჰკლან,—გაკეთდა  
ჩვენი საქმე!

ბაქოს ქართული თეატრის გადაკეთებაზედ  
დიდ ძალი ფული დაიხარჯა და თეატრი კი საზო-  
რალო შეიქმნა „მამულიშვილის“ ჯიბისათვის; ამი-  
ტომ იჯარით გადასცეს და ეხლა კი დაარსდა ახა-  
ლი კომიტეტი, რომელიც შეუდგება მეორე თეატ-  
რის გადაკეთებას და იმედი აქვს, რომ ამ მეორე  
თეატრის შემოსავლიდან „სტიპენდიებს“ განახლე-  
ბენ.

— უფულობის გამო ქართველთა საზოგადოე-  
ბის კასას „სტიპენდიანტებმა“ ბოიკოტი გამოუც-  
ხადეს, მათ მიეკედლნენ თავუნებიც.

— აქაური ქართული თეატრის გამგეობის  
სხდომაზედ გადაწყდა: სეზონი გახსნან 10 ოკტომ-  
ბერს და ვინაიღვან „ლუბოვნიკების“ მოთამაშე არა  
ჰყავთ, ამიტომ ერთ ხმად დაადგინეს: დეპუტაცია  
გაუგზავნონ ქიათურაში ბ. ბარველ—გძელიშვილის  
და სთხოვონ, რომ თავისი გასტროლებით გააბედ-  
ნიეროს ბაქოს საზოგადოება.


## სოხუმი. ცოცხალი კონტრაბანდას ამბავი.

ჩვენი მრავალ ტანჯული აფხაზეთ-სამურზაყანო რა  
ერთი ხანია ათას გვარ უბედურებას განიცდის. რაც  
რუსეთის თვითმპყრობელმა ბიუროკრატებმა ფენი  
შემოყო ამ ოდესმე აყვავებულ და მკიდროდ და-  
სახლებულ კუთხეში ჩვენის ქვეყნისა—აირია მონას-  
ტერი: ძალლი პატრონს ვერა სცნობს, სტუმარი მას-  
პინძელს სახლიდან დევნის და ურცხვად ევატრო-  
ნება მის ავლა-დიდებას...

რა არ გამოსცადა ამ ქვეყანამ ამ სამოცი წლის  
განმავლობაში. მკვიდრთა გაჟლეტა, გადასახლება,  
მამულ დედულის ცხრამთიდან გადმოთრეულ და გა-  
დმოხვეწილთ მიერ დასაკუთრება, ზნე-ხასიათის მო-  
წამლვა და მოშხამვა, მთელი მხრის აწიოკება და  
გათახსირება...

ამ უკანასკნელ ხანებში ხომ სულერთიანად  
წაგვიბილწეს „ობრუსენის“ ტაქტიკით—გინდა თუ  
არა გადაგვარდითო, ან წყალში ჩავარდითო, სხვა-  
ფრივ თქვენი ცხოვრება არ შეიძლებაო. ყოველივე  
ამას, რა თქმა უნდა, თხზავდენ თავდა პირველათ  
ადგილობრივი „ობრუსიტელები“ — წვრილ თუ  
სხვილ ფეხა მოხელები, და უმთავრესი მთავრობაც  
კვერს უკრავდა და ათას გვარ შემავიწროებელ და  
ხელშემშლელ პირობებს ჰქმნიდნენ ხელოვნურად  
ადგილობრივ მცხოვრებთა და მკვიდრთა დასახარა-  
ვად...

აგერ სამი წელიწადია, რაც აქაურ წვრილ ფე-  
ხა „ჩინოვნიკებმა“ სოხუმი და მისი მიდამო ჩვენთვის



ჯოჯობით აღკვეთს და გადმოხვეწილ სხვა და სხვა მიღების ხალხისათვის სამოთხედ...

აქ არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ზოგიერთი მოხელენი „ცოცხალი კონტრაბანდის“ წყალობით მდიდრდებოდნენ და ფულებით კოჭაობდნენ.

მოგვხსენებათ, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენ მხარეს დიდ ძალი სომხობა დაესია ოსმალეთიდან გადმოხვეწილნი და მეთამბაქოებს მიყვეს ხელი—საუკეთესო მამულები ხელში ჩაიგდეს და მიწას ქონსა და ძალას ხდიან. ერთხანად მთავრობამ ცოტა არ იყოს შეზღუდა ოსმალეთიდან გადმოხვეწილთა ემიგრაცია, მაგრამ, როგორც მკითხველებს მოეხსენება, ამ ორი წლის წინედ ტფილისში ცნობილ კალანთარის თაოსნობით დეპუტაცია შესდგა ნამესტნიკთან საშუამდგომლოდ, რომ ისედაც გრძელი ვადა სომხების „არენდისა“ გაეგრძელებინათ. თხოვნა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეიწყნარეს, მაგრამ ახლების გადმოხვეწა აღკრძალეს.

მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, „ხერხი სჯობიან ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“—ემიგრანტობა სხვა გზით და ხროვით გრძელდება: ყოველ კვირა ოსმალეთიდან გადმოყავთ სანდღენით და იალქინი ნავეებით მრავალი სომხობა; ეს ემიგრაცია ხდება კონტრაბანდის სახელით. თითო კაცზე დადებული აქვთ 50—100 მ. წვრილ ფეხა მოხელეებს. ადვილი წარმოსადგენია რა ფულს შეადგენს ასეთი ბაჟი, თუ კვირაში ორმოცი სული კონტრაბანდათ გადმოსხეს სოხუმის ნაპირზე!—„Калифорния да и только!“ როგორც გიორგი ერისთავის პიესაში ამბობს ერთი მოხელე.

ამას წინეთ ამ რიგად გადმოტანილ კონტრაბანდას ხიფათი შეემთხვა: თურმე აღრევე ვერ შერიგებულიყვნენ და ზღვის ნაპირის მცველებმა დაუშინეს თოფები ცოცხალ კონტრაბანდას—მ კაცი მოუკლეს, —5 დაჭრეს და 12 კაცი „ტყვედ ჩაიგდეს ხელში“...

ამისთანა ამბები ხდება ჩვენში, და ვინ არის პატრონი, რომ სამართალი ვაგვიწიოს!.. ყველა ყველა, მაგრამ ეგ ხოცვა ჟლეტვა რაღა ჯანაბაა!..

რომ ადგილობრივ მოხელეთ სასტიკათ ებრძინოს, რომ ახალ გადმოხვეწილთა შემოშვება აღკრძალულია არა მარტო ქალაქებში, არამედ ფაქტიურად და ქრთამების და ბაჟის დადება საკუთარი ჯიბისათვის ხაზინის ზარალია, მაშინ არც ასეთი უბედურება დატრიალდებოდა საბრალო სომხების თავზე, და ჩვენც მოსვენებული ვიქნებოდით.

თ—ია.

**კორნაპტორის უბედობები**

ქარფულის სტენის მსახიობნი ფისგარმონული საზოგად. ქრება ქიალუას მუშათა ამრთმელი

ტალახის ბეთალი ვირთანიანი შფოთის თავის მოაგრილე ი. მოსწავლე მწვალელები ქარგულის ენისა ქუთაისის ნავის მოადგილე ი. ფონს გავა სამარის საზოგ. საზანდარი ი. როსმოვაშვილი ქარიტურებიანი „შური და ული“ საყოველღეო გაზები „ეს არის“ ყოველდღე გარეთ „ცხენი მზაა“ ჟურნალი „ეშაკის მათრახი“

**უფასო განცხადებანი.**

**ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს:

საჭიროა არტისტი. იყოს უსათუოთ სამ ცოლიანი; შეეძლოს ერთ პიესაში ოთხი როლის თამაში, (ხანდახან ქალებისაც); იყოს კარგი არტისტი, რეჟისორი, სცენარიუსი, სუფლიორი, მაშინისტი, დეკორატორი, რეკვიზიტორი, მებელშიკი, გარდერობშიკი, ინჟენერი, ტექნიკი, მხატვარი, მალიარი, დურგალი, ხარაზი, ხურო, მკერვალი და სხ.

პირობები: თვიური ჯამაგირი, რამდენიც ეყოფა პურის ფულად; კვირა-უქმე დღეს თითო თეფში ძროხის ხარშო,—მერმე თანდათან მოაკლდება. ვადის შესრულებისას სრული ბენეფისი, ხოლო შემოსავალს გამგეობა წაიღებს და მობენეფისს მიერთმევა ცარიელი კასა.

წამოსვლისას გამგეობის წევრნი თითო პანდურს ამოჰკრავენ და გამოისტუმრებენ. გამგეობის წევრნი შვიდნია, სამიც მათი კანდიდატები.

მსურველთ მიმართონ გამგეობას.

გებსლიანი.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

**განცხადება.**

ამ ნომერთან ერთად ეგ სჯუნებთ განსეთის სელის მომწეროთ

**ნეიუელერის**  
**რეზინის გალო-**  
**შებს განცხადება.**

ვთხოვთ შეიდეკლებს, მოსთხოვონ განსეთის გამედეკლებს განცხადება.

შესანიშნავი სურათები.



მსხვერპლი ფანატიზმისა.


პიმენკვას სურათი.

თანამედროვე სიმღერა.

(მაქსიმ გორკის პიესიდან).



მზე ამოდის...



ისევ ჩადის!

ლანძღავს ღირსეულთ უშევრად,  
სიღუბტირეს კი ჰქომაგობს,  
ბრაზ მორეული, ნაწყენი  
ფედერალისტებს ჯაშუშობს.

„სიზმრის ამხსნელს“ სქელ ბურუსში  
ბევრი რამ მოსიზმრებია,  
თვალნი მისნი ლიბრს მოუცავს,  
მთლად დახშივი აყურებია!

შერშ.

რედაქციის აზრან.

„სიზმრების ამხსნელ“ ავტორს.

დაკნინებულ ამ ჩვენს დროში  
რას არ იზამს ორი გროში?  
ნულარ გიკვირთ, რომ გაგვიჩნდნენ  
ცრუ იუმორისტები ხონში!..

ერთი ვინმე სულიერი  
„სიზმრის ამხსნელ“ შესდგომია,  
პირად მდაბალ ანგარებით  
ყველას დორბლით მოსდგომია.

საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, ვითომც „ნიშაღურის“ მე 6 №-ში დაბეჭდილი იუმორისტული პამფლეტი „ქართველ ანარქისტ-კომუნისტები“ მიმართული იყოს იდეურ ანარქისტებზე, ან რომელიმე კერძო პირზე და სხვა. ჩვენ ამით ვამოწმებთ, რომ ხსენებული პამფლეტი შეეხებოდა მხოლოდ იმ უზღუდვარეცხილ ქურდბაცაცა ვაჟბატანებს— შანტაჟისტებს, რომელნიც ანარქიზმის სახელით ყოველგვარ სისაძაგლესა და ძალ-მომრეობას ჩადიან პირადი კომფორტისათვის: ჩაცმა-დახურვის, ჭამა-სმისა და ქეიფისათვის. ამ გვარ, უეცრაული სიტყვაა, „ანარქისტების“ საქციელმა დიდი ხანია მართებული გულის წყრომა და შესაფერი ზიზლი გამოიწვია ყველა პროგრესიულს პარტიებში და თვით იდეურ ანარქისტების მცირე ჯგუფშიაც. რა თქმა უნდა, ყველა სალახანა და გრძნობა-გონება გათახსირებულ შანტაჟისტებს და მათს „საგმირო საქმეებს“ ჩვენ არ მოვაკლებთ „ნიშაღურის“ სიმწვავეს!..